

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

საინფორმაციო ბუკლეტი №6

www.civics.ge

www.Initiatives.ge

[www.facebook.com/ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი](https://www.facebook.com/ახალციხის_ახალგაზრდული_ცენტრი)

www.facebook.com/initiatives

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის „სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

სამოქალაქო კლუბის წევრების ტრენინგ-ლაშქრობა სოფელ ურაველში აგარის ეკლესიის მოინახულება



სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით, სხვადასხვა სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა (ადიგენის, სოფელ ურაველის, სოფელი უდის # 2, სოფელი ზანავის, ახალციხის #5 და ახალციხის #6 საჯარო სკოლებიდან სულ 25 მონაწილე), სოფელ ურაველში, აგარის ეკლესია მოინახულეს.

სამოქალაქო კლუბის ის წევრები, რომლებიც საზაფხულო ბანაკში ვერ მოხვდნენ ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ხელშეწყობით, 2012 წლის 25 ივლისს ტრენინგ-ლაშქრობით იმყოფებოდნენ აგარის მონასტერში. ცენტრის წარმომადგენელი დაუკავშირდა ურაველის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებს, რომლებიც ლაშქრობის მონაწილეებს შეუერთდნენ და გიდობა გაუწიეს აღნიშნული სამოქალაქო კლუბის წევრებს, ურავლის ხეობისა და აგარის ეკლესიის გასაცნობად. მიუხედავად ცხელი დღისა, აღნიშნული ტრენინგ-ლაშქრობა სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის საკმაოდ ხალისიანი და კარგად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა.

ადიგენის სამოქალაქო კლუბის თანატოლგანმანათლებელმა ლონდა მაჭარაშვილმა Civics.ge - ონლაინ ბიბლიოთეკის საშუალებით მოამზადებული თემა „გენდერი“ გააცნო ადგილზე მისულ სამოქალაქო კლუბის წევრებს. არასამუშაო გარემოში ტრენინგის ჩატარება, ნაყოფიერი აღმოჩნდა. საკმაოდ დაახლოვა მონაწილეები გაცნობის სავარჯიშომ, რის შემდეგაც ჯგუფში თემის ირგვლივ დისკუსია გაიმართა. ტრენინგი მონაწილეების მიერ დადებითად შეაფასდა.

გასვლითი ტრენინგ-ლაშქრობის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ მშობლიურ მხარეს, ისტორიას და ჩვეული ცხოვრების ფონზე სხვადასხვა აქტიურ თემებზე ისაუბრონ, რომელიც თანატოლგანმანათლებლებლის მიერ ჩატარებული ტრენინგებით გამოიხატება.

2008 წლის 8 აგვისტოს გახსენება



სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში 2012 წლის 8 აგვისტოს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გახსენების საღამო მოეწყო. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სტუმრები: სამცხე-ჯავახეთის - ახალციხის მუნიციპალიტეტის



გამგეობის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი ბატონი რეზო ანდლულაძე, პროგრამაში მონაწილე სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები, ადგილობრივი მედია (ტელე-რადიო კომპანია მე-9 არხი). ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში ღონისძიება წუთიერი დუმილით დაიწყო, რითაც მონაწილეებმა პატივი მიაგეს 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრების ხსოვნას.

2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული დღეების შესახებ სამოქალაქო კლუბის წევრებმა ერთ დღეში შექმნეს ნახატები, ჩანახატები და ლექსები. ღონისძიების მონაწილეებისათვის ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა მინი-ვიდეო რგოლის ჩვენება/განხილვა მოაწყო. ბატონმა რეზო ანდლულაძემ თითოეულ სამოქალაქო კლუბის წევრებს შეახსენა საკუთარი ისტორიის მოფრთხილება და აქტიურობა სამოქალაქო ცხოვრებაში. ღონისძიებაზე ისაუბრეს სამომავლოდ თანამშრომლობაზე, ბატონი რეზო მონაწილეებს ჩანახატებისა და ლექსების მუნიციპალიტეტის გაზეთში გამოქვეყნებას დაპირდა.



აღნიშნული ღონისძიება ტრადიციულ სახეს მიიღებს, რითაც ყოველთვის შეახსენებს მომავალ თაობას 8 აგვისტოს მომხდარ ტრაგედიას. მითუმეტეს, რომ აღნიშნული ომის ფაქტების მომსწრე თითოეული მათგანია.

სამოქალაქო კლუბის წევრები საოჯახო ტიპის მზის კოლექტორის დამზადებას სწავლობენ

2012 წლის 9 აგვისტოს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის“ ხელშეწყობით სოფელ აწყურში არსებულ აწყურის ბანაკში ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის ვიზიტი მოეწყო.



„საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის“ თავმჯდომარემ ნუგზარ თათეშვილმა სამოქალაქო კლუბის წევრებს მზით წყლის გამათბობელი კოლექტორების მონტაჟი და კონსტრუირება აუხსნა. აწყურის ბანაკში ამჟამად ხორციელდება პროექტი „ჩართე მზე-გაათბე სახლი“, სადაც მოსახლეობას ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები უტარებენ ტრენინგებს, ცენტრის ორგანიზებით აწყურის ბანაკს სამოქალაქო კლუბის წევრები ესტუმრნენ.

სამოქალაქო კლუბის ვიზიტი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შემდეგ ბატონმა ნუგზარ თათეშვილმა სამოქალაქო კლუბის წევრებს აჩვენა უკვე დამონტაჟებული მზის კოლექტორები.

დასმულ შეკითხვებზე სამოქალაქო კლუბის წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს და ადგილზე ნახეს მზის კოლექტორები.

ვიზიტი აწყურის ბანაკში მიზნად ისახავდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენებას.



გორისა და ახალციხის სამოქალაქო კლუბის წევრების გაცნობა ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებულ სამოქალაქო კლუბის წევრებს გორის მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო და ჟურნალისტიკის კლუბების წევრები ესტუმრნენ.



შეხვედრას ახალციხეში „ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა“ და ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო კლუბის წევრებმა უმასპინძლეს, თავად შეხვედრა კი ქალაქ გორში არსებულ საზოგადოება „ბილიკის“ ხელმძღვანელობამ დაგეგმა; ახალგაზრდულ ცენტრში შეხვედრა დაიწყო გაცნობის სავარჯიშოთი, მონაწილეები დაწყვილდნენ და ერთმანეთს ინფორმაცია გაუცვალეს. ასევე, კლუბის წევრებმა დაგეგმეს

სამომავლოდ ერთობლივ ღონისძიებები და გაცვალეს ელექტრონული მისამართები.

მსგავსი სახის შეხვედრები გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს და ხელს შეუწყობს ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას სხვადასხვა სამოქალაქო კლუბებში.



სამცხე-ჯავახეთის სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის ისდის-ინფორმაციული განვითარების საზოგადოების ინსტიტუტის ტრენინგები

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში 2012 წლის 21-26



აგვისტოს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით ინფორმაციული განვითარების საზოგადოების ინსტიტუტის სტუდენტები (გიორგი გრიგოლაშვილი, მიხეილ გაბელია, თამარ ცაგარეიშვილი და ნინო ფარულავა) ესტუმრნენ. ისდის სტუდენტებმა ერთი კვირის განმავლობაში 6 მუნიციპალიტეტში (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა და ბორჯომი) სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის ჩაატარეს ტრენინგები. ტრენინგი ორ ეტაპად ჩატარდა, არაქართულ სკოლებში ტრენინგებს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის სომხური ენის თარჯიმანი (თინათინ აკოფიანი) უწევდა

თარჯიმნობას.

ტრენინგის პირველ ეტაპზე ტრენინგებმა მონაწილეებს გააცნეს პროექტის წერის ტექნოლოგიები, სტრატეგია თუ, როგორ უნდა შეირჩეს პრობლემა, რა არის პრობლემა და მისი ანალიზი, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება და როგორ უნდა განხორციელდეს პროექტი.

მეორე ნაწილი მოიცავდა სოციალურ კვლევებს, სადაც მონაწილეები გაეცნენ სოციალური კვლევის დანიშნულებას პროექტის მენეჯმენტში. ტრენინგის მონაწილეებმა გაიგეს თუ, როგორია სოციოლოგიური კვლევის სტუქტურა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.



ტრენინგები მიზნად ისახავდა, სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით, სამოქალაქო განათლებისა

და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში მონაწილე სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების წევრების გადამზადებას პროექტის წერასთან დაკავშირებით, რაც შემდეგში ხელს შეუწყობს მცირე გრანტების პროგრამაში მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

სოციალური მედიის მეორე დონის ტრენინგი ბაკურიანში

2012 წლის 24 აგვისტოს, დაბა ბაკურიანში, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის კიდევ ერთი ბანაკი გაიხსნა, რომლის ფარგლებში ჩატარდება სოციალური მედიის მეორე დონის ტრენინგი. ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს 11 რეგიონიდან კონკურსის გზით შეირჩა 33 მონაწილე. თითო რეგიონიდან 3 აქტიური ბლოგერი.



სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ : ახალციხის #6 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ხმალაძე, აწყურის საჯარო სკოლის მოსწავლე სოსო მუმლაძე და ახალციხის #2 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ჭაღიაშვილი , რომლებიც კონკურსის გზით შეირჩნენ როგორც აქტიური ბლოგერები.

ტრენინგის მიზანია შეასწავლოს აქტიურ ბლოგერებს მათთვის ახალი, სოციალური მედიის ინსტრუმენტების (video advocacy, live streaming, online broadcasting) ეფექტურად გამოყენება და დაეხმაროს მათ რეგიონალური ქსელის შექმნაში. ტრენინგ-ბანაკი გაგრძელდა 2012 წლის 28 აგვისტომდე.

მონაწილეთა ტრენინგებს წარმართავდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის სოციალური მედიის ექსპერტი სანდრო ასათიანი. ბანაკის ორგანიზება უზრუნველყო „საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ“.

პრიორიტეტების კვლევა და ტრენინგი ასპინძისა და ახალციხის სკოლებში

29 აგვისტოს ასპინძის საჯარო სკოლაში გაიმართა ტრენინგ-შეხვედრა ასპინძის,



ტოლოშისა და ოშორის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებთან. ტრენინგ-შეხვედრის მიზანი იყო ახალი საგრანტო კონკურსის თემატიკის კვლევა და ახალგაზრდებისათვის ტრენინგის საშუალებით იმ უნარჩვევების დაუფლება, რომელიც მათ გაუადვილებს საგრანტო პროექტზე მუშაობას.

2012 წლის 30 აგვისტოს ახალციხის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის ლიდერებს შეხვდა ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მცირე გრანტის კოორდინატორი და ასისტენტი. შეხვედრა შეეხებოდა მცირე გრანტის საკონკურსო თემატიკის შერჩევას, სადაც გამოიკვეთა რამდენიმე მათთვის აქტუალური თემა: უნარშეზღუდულთა ინტეგრაცია, წიგნიერების ამაღლება, მწვევლი ახალგაზრდების რიცხვის შემცირება. ასევე მათ ჩაუტარდათ ტრენინგი მცირე გრანტის აპლიკაციის, ბიუჯეტის, განხორციელების გეგმისა და თანამონაწილეობის წერილებთან დაკავშირებით.

კლუბის ლიდერებს მიეცათ პრაქტიკული სავარჯიშო აღნიშნულთან დაკავშირებით, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ ანალოგიური ფორმების შევსება. აგრეთვე ისინი გაეცნენ ონლაინ რეჟიმში მუშაობის პრინციპებს.

ახალგაზრდები კმაყოფილები დარჩნენ შეხვედრით და აღნიშნეს, რომ შესრულებული პრაქტიკული დავალების შემდეგ მათ ონლაინ რეჟიმში, მსგავსი ფორმების შევსების დროს გაუადვილდება საგრანტო აპლიკაციის შევსება.



სტაჟიორი მოსწავლეები ვარძიაში ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერს ესტუმრნენ გასვლითი ინტერვიუს ჩაწერის მიზნით

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში სტაჟირების პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, სტაჟიორი მოსწავლეები გახეთ „ბუზმარეთის ზარები“-ის რედაქციის წევრებთან ერთად ვარძიაში ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერს ესტუმრნენ.



მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ანტონმა სტუმრები დალოცა, ხოლო მონაზონმა ნინომ და დედა მარიამმა, მონასტრის და ზედა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარის ისტორია უამბეს მოსწავლე სტაჟიორებს და ვარძია დაათვალიერებინეს. ვარძიის დედათა მონასტერი 1995 წელს დაარსდა. ზედა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ერთ-ერთი უძველესია, მისი აშენების თარიღი ზუსტად არ არის დადგენილი. დედა მარიამი გვიამბობს, რომ სპეციალისტების

აზრით ტაძარი X საუკუნეზე ადრე უნდა იყოს აგებული, რადგან ფასადზე შემორჩენილია ებრაული და არაბული იეროგლიფები, რომლებიც X საუკუნეში უკვე აღარ გვხვდება.

ტაძარი ლიპარიტ ბაღვაშს და მის შთამომავლებს ღვთისმშობლის სადიდებლად აუგიათ, ამიტომ ეს ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა.

საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი იყო დედა მარიამთან საუბარი, მოსწავლეებმა მათთვის უცნობი ისტორიები მოისმინეს.

საიტერესო ისტორია შეიტყვეს ტაძარში დაბრძანებული XVIII საუკუნის რუსული წარმოშობის წმიდა ნიკოლოზის ხატის შესახებ. პატარა ჟურნალისტებმა შეიტყვეს ტაძარში შემორჩენილი ფრესკების შესახებ. ინტერვიუს ბოლოს დედა მარიამმა დალოცა მოსწავლეები.

გასვლითი ინტერვიუს ჩაწერის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ სამცხე-ჯავახეთის ისტორიას და დაეუფლონ ინტერვიუს აღების სპეციფიკას.

ტრენინგი რველის საჯარო სკოლაში მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში



3 სექტემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. რველის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბში ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მცირე გრანტების პროგრამის კოორდინატორმა მეგი ბერიძემ ჩაატარა ტრენინგ-შეხვედრა, რომლის მიზანი იყო საგრანტო თემატიკის კვლევა და მცირე გრანტების წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ტრენინგის მონაწილეებმა ტრენინგის მსვლელობისას დაწერეს საცდელი პროექტი, რომელიც შეეხებოდა ეკოლოგიურ პრობლემას რველის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე. მონაწილეებმა ისწავლეს ბიუჯეტის შევსებისა და თანამონაწილეობის დოკუმენტების მომზადება.

სოციალური მედიის ტრენინგი ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში

4 სექტემბერს ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში სოციალური მედიის ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგს #2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ.



ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ინტერნეტ პორტალის civics.ge-ს ონლაინ ბიბლიოთეკის მასალების შესახებ, სადაც შეძლებენ მოიძიონ სოციალურ მედიაზე საჭირო ინფორმაცია. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს ის აქტუალური თემები, რაზეც შემდგომ შექმნეს ბლოგები.



თამუნა მამუკაშვილი
მირზა ბურმენიძე
ირაკლი ქართველიშვილი
ნოდარი რაზმაძე
ლამა ბირჩაძე

www.axalcixe.wordpress.com
www.newakhaltsikhe.wordpress.com
www.newakhaltsikhe.wordpress.com
www.axalcixisproblemebi.wordpress.com
www.axalcixechemiqalaqi.wordpress.com

10 სექტემბერს ტრენინგი - „სოციალური მედიის განვითარება რეგიონულ დონეზე“, ჩატარდა ახალციხის #5 საჯარო სკოლის მოსწავლეებს. ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს ინტერნეტში საფუძვლიანი მუშაობა, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სოციალური ქსელები.

სოციალური მედიის ტრენინგის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ და შეისწავლონ ინტერნეტის და სოციალური ქსელების სასარგებლოდ გამოყენება და სწარაფად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ასევე სოციალური მედიის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მიზნობრივ ჯგუფებისათვის.

ანასტასია ბაღდასაროვა
თაკო რეხვიაშვილი
სალომე მიქელაძე
ხატია გიგოლაშვილი

www.cxovrebateatria.wordpress.com
www.moqalajejournalistii.wordpress.com
www.aqtiuritaoba.wordpress.com
www.aqtiuritaoba.wordpress.com

ტრენინგი ასპინძის და რველის საჯარო სკოლებში "სოციალური კვლევის მეთოდები"

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ასპინძის საჯარო სკოლაში, სხვადასხვა სამოქალაქო კლუბის წევრებს (ასპინძის საჯარო სკოლის, ოშორის საჯარო სკოლისა და ტოლოშის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბებს) ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე "სოციალური კვლევის მეთოდები". ტრენინგის მონაწილეებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სოციალური კვლევების გაცნობა, რადგან მცირე გრანტების მოსაპოვებლად პირველი ეტაპისათვის აუცილებლად გამოიყენებენ მასობრივ გამოკითხვას.



ბორჯომის მუნიციპალიტეტში

არსებული სოფელი რველის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებს 4 სექტემბერს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე "სოციალური კვლევის მეთოდები" ტრენინგს ესწრებოდა 9 მონაწილე. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ტრენინგმა ნინო ვასილცევმა გააცნო მასობრივი გამოკითხვის ტიპები, მონაწილეები აქტიურად ჩაერთნენ ტრენინგის მსვლელობაში.

ტრენინგი მიზნად ისახავდა სამოქალაქო კლუბის წევრების გაცნობას მასობრივი გამოკითხვის ტიპების შესახებ, რაც ერთგვარი სიახლე იყო სასკოლო ცხოვრებაში.

ტრენინგი აბასთუმნის, დიდი სმადის და სოფ. ვარხნის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებთან

ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრის მცირე გრანტის პროგრამის ასისტენტმა მარეხი ყურმაშვილმა 2012 წლის 6 სექტემბერს აბასთუმნის, დიდი სმადისა და ვარხნის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებს ჩაუტარა ტრენინგი მცირე გრანტის სააპლიკაციო ფორმის, ბიუჯეტისა და განხორციელების გეგმის შევსების შესახებ. ასევე ახალგაზრდებმა პრაქტიკულად გაიარეს ონლაინ რეჟიმში მუშაობის პრინციპები. ტრენინგის მსვლელობის დროს მოსწავლეებს ჰქონდათ ბიუჯეტთან დაკავშირებით შეკითხვები, რაზედაც ამომწურავი პასუხები გაეცათ. ტრენინგზე დამსწრე დიდი სმადის საჯარო სკოლის პედაგოგმა კი აღნიშნა, რომ მცირე საგრანტო პროგრამის სახელმძღვანელო ნამდვილად სასარგებლო



რჩევებს მისცემს, როგორც კლუბის წევრებს ასევე მშობლებსა და პედაგოგებს, თუ როგორ შეიძლება ერთობლივად თემში არსებული პრობლემის მოგვარება.

ვიზიტი იუსტიციის სახლში

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის პროექტის ფარგლებში, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მიერ მოეწყო ვიზიტი ახალციხის იუსტიციის სახლში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალციხის, ასპინძის, აწყვიტის, უდის, ბორჯომის, ახალქალაქის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბებში აქტიურად ჩართულმა მოსწავლეებმა.



მოსწავლეები გაეცნენ იუსტიციის სახლის შიდა სტრუქტურას, მუშაობის

პრინციპებს, ნახეს ფილმი „მომავლის საქართველო“, მიიღეს პასუხი საინტერესო კითხვებზე.

მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხობდა იუსტიციის სახლის მენეჯერი ნიკოლოზ ბეგიშვილი. ვიზიტის მიზანია მოსწავლეების აქტიურად ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში .

**სტაჟირების ხელშეწყობა
ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის**

2012 წლის 2-10 სექტემბერამდე სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით და „საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის“ დირექტორის ბატონი ნუგზარ თათეშვილის ხელშეწყობით სამოქალაქო კლუბის წევრებმა სტაჟირება გაიარეს



„საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრში, შეისწავლეს როგორ ხდება ნაკლები დანახარჯებით სახლის დათბუნება და ბინის თბოიზოლაცია.

სამოქალაქო კლუბის წევრებმა მოინახულეს ის შენობა-ნაგებობა, რომლის მაგალითზეც მოხდა სახურავის დათბუნება, „საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრში“ მოწვეული უცხოელების დახმარებით კი, სტაჟიორმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სახურავზე დასასხმელი სამშენებლო მასალის



დამუშავებაში. ასევე, ნახეს ფანჯრის მინის თბოიზოლაცია, რომელიც ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ოფისის შენობის ფანჯრებს გაუკეთდა. 2012 წლის აგვისტოს თვეში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრთან“ თანამშრომლობის საფუძველზე ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო კლუბის წევრებმა შეისწავლეს მზის ენერჯით წყლის გამათბობელი კოლექტორების მონტაჟი და კონსტრუირება.

სამოქალაქო კლუბის სტაჟირება მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ პრაქტიკული სამუშაოების გარდა ხშირად კითხვა-პასუხის რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები, რომელსაც ბატონი ნუგზარ თათეშვილი პასუხობდა.

აღნიშნული სტაჟირების პროგრამა მიზნად ისახავდა სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის საბუნებისმეტყველო მეცნიერების უკეთ გაცნობას და შემდეგში პრაქტიკაში გამოყენებას.

**ტრენინგი “სოციალური კვლევის მეთოდები”
ნინოწმინდის რ-ნი სოფ. ფოკის და აბასთუმნის საჯარო სკოლაში**

5 სექტემბერს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში



აბასთუმნის საჯარო სკოლაში, სხვადასხვა სამოქალაქო კლუბის წევრებს (ვარხანის, აბასთუმნისა და სმადის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბებს) ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე “სოციალური კვლევის მეთოდები“ ხოლო 14 სექტემბერს პროგრამის ფარგლებში ნინოწმინდის რ-ნი სოფ. ფოკის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე “სოციალური კვლევის მეთოდები“.



ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ მასობრივი გამოკითხვის ტიპებს და აქტიურად ჩაერთნენ ტრენინგის მსვლელობაში, რადგან ტრენინგის თემატიკა ახალგაზრდებისათვის აქტუალური და საინტერესო იყო.

**შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის საჯარო სკოლების
სამოქალაქო კლუბებთან.**

2012 წლის 12 სექტემბერს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლები შეხვედრენ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1, #2, #3 საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების წევრებს. შეხვედრისას სამოქალაქო კლუბის წევრებმა და ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი განვლილი წლის განმავლობაში ქალაქ ვალის სამოქალაქო კლუბების აქტივობებსა და განხორციელებულ ღონისძიებებს. სამოქალაქო კლუბის წევრებმა ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლებს წარუდგინეს მცირე მონახაზი სამომავლოდ დაგეგმილი ტრენინგების და ღონისძიებებისა. დაინიშნა პირველი ღონისძიება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ.



ტრენინგი აბასთუმნის საჯარო სკოლაში

აბასთუმნის საჯარო სკოლაში 11 სექტემბერს ,, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების“ პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო კლუბის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე ,, სამოქალაქო კლუბის არსი და მიზნები“ ,,ეფექტური პრეზენტაციის მომზადება“. ტრენინგს ესწრებოდა თოთხმეტი მონაწილე. მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია კომპონენტის სტრუქტურისა და საკუთარი როლის შესახებ ამ პროგრამაში, არაფორმალური განათლების თეორიასა და პრინციპებზე. კლუბური მუშაობის მიმართულებები, სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში



გამოყენების შესაძლებლობები, კლუბის საქმიანობის ეფექტური წარმართვის ხეხრები - ესაა საკითხები რომლებზეც იმუშავებს ტრენინგის მსვლელობისას.

ტრენინგზე გამოყენებული იქნა ენერჯაიზერები და სხვადასხვა სახის გუნდის შეკვრის თამაშები. ტრენინგი სამ საათს გაგრძელდა, მონაწილეებმა შეიძინეს უნარი დაგეგმონ და ნაყოფიერად წარმართონ კლუბის საქმიანობა.



ტრენინგ შეხვედრა ქ. ვალის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განძის #1, #2 საჯარო სკოლებთან

12 სექტემბერს ქ. ვალის #2 საჯარო სკოლაში მცირე გრანტების პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგ შეხვედრა, რომლის მიზანი იყო, საპროექტო ონლაინ განაცხადის შევსების სწავლება, ბიუჯეტის, განხორციელების გეგმისა და თანადაფინანსების დოკუმენტაციის მომზადება. ტრენინგის მონაწილეებმა აირჩიეს თემები და დაწერეს საცდელი პროექტები. ვალის #1 და #3 საჯარო სკოლებმა საპროექტო თემად ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია აირჩიეს, #2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა კი პრიორიტეტი ეკოლოგიურ პრობლემას მიანიჭეს.



14 სექტემბერს განძის #1 და #2 საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებთან შედგა ტრენინგ-შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საგრანტო განაცხადის შევსებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების შეძენა. ტრენინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული სახის ტრენინგები მათთვის ძალიან საინტერესოა, რადგან ისინი სიახლის შესწავლასთან ერთად იუმჯობესებენ სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს.



„დავასუფთაოთ მსოფლიო!“ „დავასუფთაოთ საქართველო“!

2012 წლის 14 სექტემბერს ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო კლუბებისა და „დავასუფთაოთ მსოფლიო!“, „დავასუფთაოთ საქართველოს!“ წარმომადგენლების



მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში ერთობლივი დასუფთავების აქცია მოეწყო. კამპანია ყოველწლიურად სექტემბრის თვეში ტარდება და მასში 130 ქვეყანა მონაწილეობს 35 მილიონამდე მოსახლეობით. სამოქალაქო კლუბის წევრებმა ქალაქ ახალციხის სხვადასხვა უბანი აიღეს დასასუფთავებლად, (ასპინძის ქუჩის ჩიხი, ახალციხის #2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია) აღნიშნული აქცია ერთობლივი ძალისხმევით შედგა, აქცია ქალაქში დაბინძურებულ ადგილების შემცირებას ისახავდა მიზნად.



სუფთა გარემოში ცხოვრება თითოეული მოქალაქის ვალია, საყოველთაო დასუფთავების დღის პოპულარიზაციას სამოქალაქო კლუბის წევრები ბუკლეტების საშუალებით ახდენდნენ მოსახლეობაში. აქციას შეუერთდა ახალციხის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური, თანამშრომლებმა შეგროვილი ნარჩენები მანქანით გაიტანეს.

დასუფთავების აქციაში მონაწილეობა თითოეული ჩვრენტაგანის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა.

სოციალური მედიის ტრენინგი რველის საჯარო სკოლაში



სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის პროექტის ფარგლებში 20 სექტემბერს რველის საჯარო სკოლაში ჩატარდა სოციალური მედიის ტრენინგი. ტრენინგი მოიცავდა სოციალური მედიის ინფორმაციის გაცნობას მოსწავლეებში, მათ დაინტერესებას, აქტიურად ჩართვას სოციალური მედიის გავრცელების საკითხებში. მოსწავლეებმა შექმნეს ბლოგები.

სოციალური მედიის ტრენინგის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ და შეისწავლონ ინტერნეტის და

სოციალური ქსელების სასარგებლოდ გამოყენება და სწარაფად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

მარიამ სტეფნაძე
ნინო ხაჩიძე
ანა გელაშვილი
ქეთევან გელაშვილი

www.mevicavuflebebs.wordpress.com
www.chveniuflebebi.wordpress.com
www.rveli.wordpress.com
www.adamianidauflebebi.wordpress.com

**„დებატების ხელოვნება“
ტრენინგი აწყვიტის საჯარო სკოლაში**

2012 წლის 20 სექტემბერს აწყვიტის საჯარო სკოლაში თანატოლგანმანათლებლის მიერ ტრენინგი ჩატარდა. დებატ-ბანაკის ტრენინგებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე, აღნიშნული



ტრენინგები ფონდი საქართველოს ბავშვთა ფედერაციის მიერ ბაკურიანში ჩატარდა და მასში აწყვიტის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრი ევა ბერიძე მონაწილეობდა. მან სასწავლო წლის დაწყებისთანავე თანასკოლელებს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე: „დებატების ხელოვნება“. ტრენინგის მიზანია მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ - რა არის დებატები, რა დანიშნულება აქვს მას. მოსწავლეები აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას დებატების მიზნებსა და მის მნიშვნელობაზე ცხოვრებაში. ტრენინგი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ტრენინგის მსვლელობისას იყო ლოგიკური მსჯელობა სადისკუსიო თემების გარშემო. მასალად გამოყენებული იყო, სხვადასხვა ინტერნეტ გვერდები და ფონდი საქართველოს ბავშვთა ფედერაციის მიერ ბაკურიანის დებატ-ბანაკში ტრენინგის დროს მიღებული სატრენინგო მასალა.

„კონფერენცია თემაზე „1993 წელი 27 სექტემბერი-სოხუმის დაცემა“

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში 2012 წლის 27 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტში, ასპინძის საჯარო სკოლის დარბაზში კონფერენცია გაიმართა თემაზე: „1993 წელი 27 სექტემბერი-სოხუმის დაცემა“, სადაც მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებმა.



კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო, როგორც პროგრამაში ჩართულ სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ასევე, არაპარტნიორი სკოლის მოსწავლეებს. კონფერენციაზე თემის წარმოსადგენად უნდა

გაეთვალისწინებინათ შემდეგი პირობები:

- საკონკურსო თემა უნდა შემდგარიყო 300 სიტყვისგან და წარმოდგენილი ყოფილიყო ბეჭდური სახით.
- თემას თან დართული უნდა ჰქონდა სქოლიო.

ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა (მზია ინასარიძემ) მოკლედ გააცნო მონაწილეებს კონფერენციის ჩატარების მიზანი, კიდევ ერთხელ გაიხსენეს 1993 წელი და პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულებს.

აღნიშნული ისტორიული ექსკურსის შემდეგ ნაჩვენები იყო ახალციხის # 6 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრის ეკა იაძის მიერ მომზადებული სლაიდ შოუ. შემდეგ თითოეულმა მონაწილემ საკუთარი ნაშრომი წაიკითხა, რომლებიც საკმაოდ საინტერესო და ისტორიული ფაქტებით იყო გაჯერებული. წარმოდგენილი თემები სხვადასხვა სახით იყო გადმოცემული, კონფერენციის მონაწილეები მასში ასახავდნენ, როგორც ისტორიულ ფაქტებს, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა მოგონებებს და საკუთარი ოჯახის წევრების ომში მონაწილეობის მონათხრობებს.



საბოლოოდ, შეჯამდა სადამო და კონფერენციაზე გამოვლინდა სამი გამარჯვებული. კონფერენციის თემის ყველა ავტორს ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა სერთიფიკატები



გადასცა, ხოლო პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ თემის ავტორებს სერთიფიკატებთან ერთად სამახსოვროდ mp3 პლეერი და მესხიერების ჩიპი; პირველ ადგილზე ახალციხის #5 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრი ავთანდილ ლომიძე, მეორე ადგილზე ახალციხის #2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრი მარიამ გელაშვილი, მესამე ადგილზე სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრი მარიამ სანდროშვილი გავიდნენ.

აღნიშნული კონფერენცია საინტერესო იყო იმიტაც, რომ სხვადასხვა სამოქალაქო კლუბის წევრები თავისუფლად მსჯელობდნენ სამშობლოს იმედიანი მომავლის შესახებ, ხოლო იმ საშინელი ომის ფაქტებმა კიდევ ერთხელ დააფიქრა მშვიდობიან საქართველოს მომავალზე. საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები სამომავლოდ ტრადიციულ სახეს მისცემენ აღნიშნული სახის შეხვედრებს. კონფერენციის დეტალები გაშუქდა ასპინძის მუნიციპალიტეტის გაზეთ- „ასპინძის მაცნე“-ში.

ბუკლეტი შექმნილია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში

ქ. ახალციხე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77

Email: icyakhaltsikhe@yahoo.com ბლოგი: Akhaltshikheyouthcenter.wordpress.com